ინოვაციებისა
და რეფორმების
ცენტრი

გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by:
giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

## განცხადება

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მონაცემების დამუშავების პროცესში მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ეს განცხადება ვრცელდება მერიის მიერ მონაცემთა ავტომატური, ნახევრად ავტომატური და არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე და წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მერიის ღირებულებების, ხედვისა და მიდგომების გამოხატულებას.

### ვინ ვართ ჩვენ?

მერია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის მიმართ დაქვემდებარებულ დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს მერის ფუნქციების განხორციელებას.

### რა მონაცემებს ვაგროვებთ თქვენს შესახებ?

**საიდენტიფიკაციო მონაცემები**

**საკონტაქტო მონაცემები**

**დემოგრაფიული მონაცემები;**

**განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები:** ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის და/ან გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ, ეროვნება, აღმსარებლობა, ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ, პატიმრობასთან ან ძებნილობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მერიის შენობაში დამონტაჟებული **ვიდეო სათვალთვალო კამერის ჩანაწერი**

**სხვა მონაცემები** ინფორმაცია განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ, ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის, უძრავი ქონების, საცხოვრებელი პირობების შესახებ/სოციალური სტატუსი,

## მზა ჩანაწერები

## რის საფუძველზე ვამუშავებთ მონაცემებს?

ა) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

ბ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად);

დ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

## მონაცემთა დამუშავების მიზნები

თქვენი მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში და ისეთი მიზნით, როგორიცაა:

- ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალური პროგრამების განსახორციელება;
- ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელება;
- ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მათზე რეაგირება, ასევე სხვა საზედამხედველო ფუნქციების განსახორციელება;
- სამხედრო აღრიცხვის წარმოება;
- თქვენი განცხადებების განხილვა და მომსახურების ან დახმარების გაწევა;
- მერიის და/ან სხვა პირების უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა;
- მერიის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სხვა ფუნქციების შესრულება.

## რა ვადით ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

## მონაცემთა უსაფრთხოება



## ვის გადავცემთ თქვენს მონაცემებს?

## თქვენი უფლებები



**ინფორმაციის მიღების უფლება**

მიიღოთ ინფორმაცია თუ რა მონაცემები მუშავდება თქვენს შესახებ, რა არის მათი დამუშავების მიზანი და საფუძველი, ასევე, ინფორმაცია მონაცემთა შეგროვების წყაროსა და მათი გადაცემის შესახებ.

გაეცნოთ თქვენ შესახებ ჩვენთან არსებულ ჩანაწერებს და მიიღოთ მათი ასლები;

**მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება**

**თანხმობის გამოთხოვის უფლება**

**გასაჩივრების უფლება**

**თქვენი უფლებების შეიძლება შეიზღუდოს**

# კონტაქტი